

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“



მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების დახურვის სამუშაოების, კეთილმოწყობისა და ესქლუატაციის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღიცივო დოკუმენტაციის შედგენისა და ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

საკონკურსო განცხადება

(CPV-71320000-საინჟინრო-საპროექტო მომსახურება)

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე

ქ.თბილისი

2015 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1 .	საკონკურსო განცხადება	3
2 .	სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი	6
3 .	დამატებითი ინფორმაცია	13
4 .	დანართი N1 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა	14
5 .	დანართი N2 კონკურსანტის შეთავაზება	15
6 .	დანართი N3 ინფორმაცია ანალოგიური საქმიანობის შესახებ	16
7 .	დანართი N4 ინფორმაცია ტექ. პერსონალის შესახებ	17
8 .	დანართი N5 ტექნიკური დავალება	18

---

## საკონკურსო განცხადება

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ აცხადებს კონკურს მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების დახურვის სამუშაოების, კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე

**შესყიდვის ობიექტი:** მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების ქ.მცხეთა, სოფ.ქსანი, ქ.ქარელი, ქ.ყვარელი, ქ.ზესტაფონი, ქ.ხონი, ქ.აბაშა, ქ.სენაკი (სოფ. თეკლათი), ქ.ხობი, ქ.ჩხორიწყუ, ქ.წალენჯიხა, დ.ურეკი, ქ.ლანჩხუთი, დ.ბაკურიანი, დ.მანგლისი, ქ.ხარაგაული, ქ.ჭიათურა, ქ.მაწევანი დახურვასთან დაკავშირებული სამუშაოების და ქ.ასპინძის, ქ.დმანისის, ქ.თიანეთის, ქ.ონის, ქ.სტეფანწიმდის, ქ.ჩოხატაურის მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონების კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის სამუშაოებისათვის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევა.

**1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:** შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 230 000 (ორასოცდაათი ათასი) ლარს, რაც მოიცავს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და გადასახადებს.

**2. დაფინანსების წყარო:** შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ს საქმიანობისთვის ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი სახსრები.

**3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა:** ხელშეკრულების გაფორმების დღიდან შესყიდვის ობიექტის შუალედური ჩაბარების ვადა არაუგვიანეს მე-40 დღისა, ხოლო საბოლოო ჩაბარების ვადა ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მე-70 დღისა.

**4. მონაწილეობის საფასური:** საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

**საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

**შენიშვნა:** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

**5. საკონკურსო წინადადებების მიღება:** კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 20 მარტს 13:00 საათიდან - 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N10, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის

კომპანიის“ სათაო ოფისი, მე-3 სართული - ეკონომიკური მართვის დეპარტამენტში.

6. საკონკურსო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება - 2015 წლის 20 მარტს 15:00 საათზე.

7. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.

8. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

9. დალუქული პაკეტით საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

9.1 აფიდავიტი (ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ) დანართი N1-ის მიხედვით;

9.2 კონკურსანტის შეთავაზება (პრეტენდენტის რეკვიზიტები, საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ს ჩათვლით, დანართი N2-ის მიხედვით), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში.

9.3 ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური პროექტების მომსახურების (ნაგავსაყრელი პოლიგონების მშენებლობა, ან/და კეთილმოწყობისა და ან/და დახურვის) გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები; აქტები (ხელშეკრულების საგნის, დამკვეთის და მისი საკონტაქტო პირის ტელეფონის მითითებით).

9.4 ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ დანართი N4-ის შესაბამისად. ძირითად სპეციალისტებს უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული მსგავსი ხასიათის, სირთულის და შინაარსით მომსახურების გაწევის გამოცდილება.

9.5 ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ;

9.6 ტექნიკური დავალება (ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ) დანართი N5-ის შესაბამისად;

9.7 განმარტებითი ბარათი: პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს დასაპროექტებელი ობიექტის თავისებური ხედვა, მოკლე განმარტებითი ბარათის სახით (საჭიროების შემთხვევაში თან დაერთოს სქემატური ნახაზები).

9.8 საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება;

9.9 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადოდან დავალიანების არქონის შესახებ.

*საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს კონკურსისათვის სტატუსის „კონკურსი გამოცხადებულია“ მინიჭების შემდგომ.*

10.საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმის გათვალისწინებით:

N	შეფასების კრიტერიუმები	კოეფიციენტი
	საკონკურსო წინადადების ფასი	0.6
	კონკურსანტის გამოცდილება	0.4
	სულ:	1.0

11. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

12. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შუალედური წარმოდგენა - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მე-40 დღისა, ხოლო საბოლოო ჩაბარება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მე-70 დღისა.

13. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საბოლოო დოკუმენტაციაში.

**14. მომსახურების გაწევის პირობები:**

14.1.გათვალისწინებული საპროექტო მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე საკონკურსო პირობებს და დანართ N5-ში მოცემულ მახასიათებლებს;

14.2 მიმწოდებლის მიერ საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების გაწევა სრულად უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს მე-70 დღისა;

14.3 სასურველია პროექტის მოწოდება განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველთან შეთანხმებით პრიორიტეტული ობიექტების მიხედვით;

14.4 პროექტის წარდგენა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მისამართზე: ქ. თბილისი, ა.პოლიტკოვსკაიას ქ. N10, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ სათაო ოფისი;

14.5 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის 5 (ხუთი) ეგზემპლარი ქართულ ენაზე ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით.

14.6 მიმწოდებელმა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დასრულებული სახით უნდა წარმოადგინოს, როგორც ცალ-ცალკე ხელშეკრულების შემადგენელი ობიექტების ღირებულების ასევე, მთლიანი ობიექტის საერთო ღირებულების მითითებით. გარდა ზემოაღნიშნულისა, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს, როგორც ლოკალური, ასევე რესურსული მეთოდით შესრულებული ხარჯთაღრიცხვა.

**15. ანგარიშსწორების წესი:**

15.1 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ გაწეული მომსახურების ანაზღაურება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ორ ეტაპად.

15.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, პირველ ეტაპზე შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს ავანსს, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-ის (პროცენტი) ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო (საბანკო დაწესებულებიდან გაცემული) გარანტია , რომლის ვადაც 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების

## ვადას.

15.3 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

15.4 საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა და მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ობიექტების მიხედვით, რაზედაც მხარეთა შორის ფორმდება გაწეული მომსახურების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი.

15.5 წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ერთ ან რამოდენიმე მათგანზე (რომელიც შეირჩევა შემსყიდველის გადაწყვეტილებით) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის მიერ, შემსყიდველის ხარჯით ექსპერტიზის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის ექსპერტიზა) ჩატარების შემდგომ, დადებითი რეკომენდაციის (დასკვნის) მიღების შემთხვევაში, ყველა დანარჩენ ობიექტზე სათანადო დასკვნას დებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური და დგება დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი ორგანიზაცია აუნაზღაურებს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება მოხდება გაცემული ავანსის, გაწეულ მომსახურებაზე ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ დადგენილი შესაძლო დეფექტის არსებობის შემთხვევაში მისი გამოსწორებისათვის გათვალისწინებული ჯარიმების გათვალისწინებით.

16. შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ კი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი.

17. საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ანგარიშსწორების ყოველ ეტაპს შემსყიდველი განახორციელებს მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებით განსაზღვრული საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი თანხის გამოკლებით. საავტორო ზედამხედველობისათვის დარეზერვებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ დასრულებული ობიექტების მიხედვით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

18. საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი განახორციელებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამისი საავტორო ზედამხედველობის ჟურნალის წარმოებით.

19. საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს მთლიანი შესყიდვის ობიექტის ღირებულების არანაკლებ 9% პროცენტს.

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები.

21. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებული ობიექტური მიზეზით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

# 1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

## (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

### ხელშეკრულების პროექტი (საპროექტო მომსახურების შესყიდვა)

#### სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

#

თბილისი

----- 2015წ.

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, დირექტორის -----სახით, შემდგომში -- შემსყიდველი, ერთის მხრივ, ----- (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შემდგომში -- მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს არსებული ნაგავსაყრელების დახურვის, კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, აგრეთვე შესყიდვის ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების შესყიდვა - შემდგომში მომსახურება.

1.2 მიმწოდებელი 1.1 პუნქტში მითითებული მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს ქვემოთ მითითებულ არსებულ ნაგავსაყრელებზე:

#### მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (-----) ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტი), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.4 ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილი იქნება თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნულ საკითხზე შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში გასაწევი მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ორ ეტაპად, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მსგავსი თხოვნის წარმოდგენლობისას გაწეული მომსახურების შესაბამისი ანაზღაურება განხორციელდება ერთ ეტაპად წინამდებარე ხელშეკრულების 2.7-2.8 პუნქტების შესაბამისად.

2.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით, წარმოდგენილია ავანსის მოთხოვნა, პირველ ეტაპზე შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს ავანს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 50%-ის (პროცენტი) ოდენობით. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.6 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების

ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

2.7 საბოლოო ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალებისა და მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას ობიექტების მიხედვით, რაზედაც მხარეთა შორის ფორმდება გაწეული მომსახურების შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი.

2.8 წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ერთ ან ერთერთ მათგანზე (რომელიც შეირჩევა შემსყიდველის გადაწყვეტილებით) შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის მიერ, შემსყიდველის ხარჯით ექსპერტიზის (ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის ექსპერტიზა) ჩატარების შემდგომ, დადებითი რეკომენდაციის (დასკვნის) მიღების შემთხვევაში, ყველა დანარჩენ ობიექტზე სათანადო დასკვნას დებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური და დგება დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც შემსყიდველი ორგანიზაცია აუნაზღაურებს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულებას საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. ანგარიშსწორება მოხდება გაცემული ავანსის, გაწეულ მომსახურებაზე ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ დადგენილი შესაძლო დეფექტის არსებობის შემთხვევაში მისი გამოსწორებისათვის გათვალისწინებული ჯარიმების გათვალისწინებით.

2.9 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ანგარიშსწორების ყოველ ეტაპს შემსყიდველი განახორციელებს მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებით განსაზღვრული საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი თანხის გამოკლებით. საავტორო ზედამხედველობისათვის დარეზერვებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მიერ დასრულებული ობიექტების მიხედვით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

2.10 საავტორო ზედამხედველობისათვის განკუთვნილი სახსრები უნდა შეადგენდეს მთლიანი შესყიდვის ობიექტის ღირებულების არანაკლებ 9% პროცენტს.

2.11 შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

### **მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა**

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

### **მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. მიმწოდებლისაგან, გაწეული მომსახურების შესაბამის დოკუმენტაციას (ნახაზებს, ლოკალურ და რესურსული მეთოდით გაანგარიშებულ ხარჯთაღრიცხვას, ტექნიკურ ანგარიშებსა და სხვა დოკუმენტაციას) შემსყიდველი მიიღებს ინსპექტირების აქტის შედგენის შემდგომ გაფორმებული შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რის შემდგომაც ერთ ან რამოდენიმე მათგანზე ხორციელდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ექსპერტიზაზე გადაცემისა და სათანადო დასკვნის მიღების პროცედურა. შესაბამისი რეკომენდაციებისა და დადებითი საექსპერტო დასკვნის მიღების შემდგომ, ხელშეკრულების მხარეთა შორის დგება დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.



4.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ. გაწეულ მომსახურებას მიმწოდებელი აბარებს შემსყიდველს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული წესით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს -

4.3. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის შედეგები (ექსპერტიზის დასკვნა) უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღება-ანაზღაურებაზე, და/ან მიმწოდებელს ეძლევა გონივრული ვადა აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

4.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხედავად.

## **მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

### **5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 დღის განმავლობაში (აღნიშნული პერიოდი მოიცავს გასაწევი მომსახურების 2 ეტაპად წარმოდგენის ვალდებულებას), პირველი ეტაპი შემსყიდველის კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად შერჩეული შესყიდვის ობიექტების თანახმად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-40 დღე, მეორე ეტაპი (სრული დოკუმენტაციის საბოლოო ჩაბარების ვადა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 70-ე დღე;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული ტექნიკური დავალების შესაბამისად;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების შუალედური კონტროლის უარყოფითი შედეგების (ექსპერტიზის დასკვნა) საფუძველზე გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

ვ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

### **5.2. შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) საამისოდ შერჩეულ პირთან/ან პირებთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება მომსახურების გაწევის ვადების მიმდინარეობაზე, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

## **მუხლი 6. ფორს-მაჟორი**

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი,

რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## **მუხლი 7. პასუხისმგებლობა**

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% (ერთი) პროცენტი არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## **მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

- ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
- ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
- გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე.

## **მუხლი 9. უფლებების გადაცემა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

## **მუხლი 10. სუბკონტრაქტორები**

10.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული უველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 სუბ-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

10.4 მომსახურების გაწევის პროცესში სუბ-კონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი სუბ-კონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა სუბ-კონტრაქტორს.

10.5 მიმწოდებელი და მისი სუბ-კონტრაქტორი ვალდებული არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

10.6 მიმწოდებელი, მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით სპეციალისტს(ებს) ნიშნავს შემსყიდველთან შეთანხმებით.

## **მუხლი 11. შეტყობინება**

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეკემის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## **მუხლი 12. ინსპექტირება**

12.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, კერძოდ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული სახით წინამდებარე კონტრაქტით გათვალისწინებული ვადებში წარმოდგენის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ----- შემდეგი წარმომადგენლები -----

12.2 შემსყიდველს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დათქმულ ვადებში შესრულების მიმდინარეობაზე. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ან პირების მიერ შედგენილი აქტი არის ობიექტის შუალედური მიღების, ხოლო შემდგომში ექსპერტიზის დადებით დასკვნასთან ერთად უკვე გაწეული მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველი.

## **მუხლი 13. სხვა პირობები**

13.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.3 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი

მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.7 მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

#### **14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა უფრო კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2015 წლის -----.

#### **მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**

##### **შემსყიდველი**

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, იურიდიული მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12, ფაქტიური მის: ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N10, საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 404942470, ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.

**დამატებითი ინფორმაცია:**

საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ქეთევან გელაშვილი, ტელ: 599 89 77 74.

## ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

### საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი “კონკურენტი” აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
  - o საკონკურსო წინადადების ფასი;
  - o საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
  - o საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
  - o ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
  - o შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

\* საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან

არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

### თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად.

კონკურსანტის ხელმოწერა

კონკურსანტის შეთავაზება

1 .	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული ფოსტა:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2 .	საკონკურსო წინადადების ფასი:	

კონკურსანტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ინფორმაცია განხორციელებული  
ანალოგიური საქმიანობის შესახებ

კონკურსანტის დასახელება:

N	გაწეული მომსახურების დასახელება	ვადები		დამკვეთი/საკონტაქტო პირის ტელეფონი	გაწეული მომსახურების	შენიშვნა
		დასაწყისი	დასასრული			
1	2	3	4	5	6	7
1						
2						
3						
4						
5						
.						
.						
.						
.						
n						

კონკურსანტის ხელმოწერა -----



ინფორმაცია ტექნიკური პერსონალის გამოცდილების შესახებ

თანამდებობა, სპეციალობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი)	მსგავსი მომსახურების გაწევის გამოცდილება (წელი)	შტატში მყოფი	შტატგარეშე თანამშრომელი	შენიშვნა

კონკურსანტის ხელმოწერა -----

## 1. ტექნიკური დავალება

შ.პ.ს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების დახურვის სამუშაოების პროექტის შედგენის შესახებ

## 1. შესყიდვის ობიექტები

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ, დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად, წინამდებარე ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილ ქალაქებში მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების დახურვასთან დაკავშირებული ღონისძიებების სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას:

- 1) ქ.მცხეთა, სოფ.ქსანი (ს/კ72.10.04.029)
- 2) ქ.ქარელი (ს/კ68.10.47.202)
- 3) ქ.ყვარელი (ს/კ57.06.51.118) (გადამზიდი სადგურის მოწყობა)
- 4) ქ.ზესტაფონი (ს/კ32.02.36.077) (ნაპირსამაგრის მოწყობა)
- 5) ქ.ხონი (ს/კ37.09.34.027)
- 6) ქ.აბაშა (ს/კ40.01.34.253)
- 7) ქ.სენაკი (სოფ. თეკლათი) (ს/კ44.03.26.267).
- 8) ქ.ხობი (ს/კ45.09.26.102)
- 9) ქ.ჩხოროწყუ (ს/კ46.06.31.106)
- 10) ქ.წალენჯიხა (ს/კ47.11.47.065)
- 11) დ.ურეკი (ს/კ26.35.03.031) (გადამზიდი სადგურის მოწყობა)
- 12) ქ.ლანჩხუთი (ს/კ27.06.46.011)
- 13) დ.ბაკურიანი (ს/კ64.30.03.400 ს/კ64.30.03.760) (გადამზიდი სადგურის მოწყობა)
- 14) დ.მანგლისი (ს/კ 84.18.32.078)
- 15) ქ.ხარაგაული (ს/კ74.01.11.262)
- 16) ქ.ჭიათურა (ს/კ 38.05.35.147)
- 17) ქ.მაწევანი (ს/კ 84.02.37.047)

მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის დახურვა გულისხმობს პოლიგონზე არსებული ნარჩენების დაფარვას საიზოლაციო გრუნტით წინამდებარე ტექნიკური დავალების შესაბამისად.

## 2. გასაწევი მომსახურების აღწერა;

მოცემული მომსახურების ფარგლებში პროექტანტი ვალდებულია:

– ადგილზე დაათვალიეროს და შეისწავლოს ობიექტი;

– ჩაატაროს საპროექტო დოკუმენტაციის სრულფასოვანი დამუშავებისათვის საჭირო საძიებო სამუშაოები;

– დაამუშაოს პოლიგონის დახურვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა სრული საპროექტო დოკუმენტაცია (პოლიგონის დახურვის პროექტი) საპროექტო დოკუმენტაციის გრაფიკული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნას მყარი ასლების სახით და ელექტრონულად. DWG ან ArchiCAD და PDF (2D და 3D) ოფორმატში, დამუშავდეს მოქმედი სამშენებლო-საპროექტო ნორმებისა და წესების შესაბამისად;

– დაამუშაოს პოლიგონის დახურვისათვის საჭირო სამუშაოებთა მოცულობების უწყისი და მასზე დაყრდნობით შეადგინოს სამუშაოების შესრულების ღირებულების კალკულაცია (პოლიგონის დახურვის ღონისძიებათა ხარჯთაღრიცხვა). ხელფასი, მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაციის ხარჯები და მასალების ღირებულება, განისაზღვროს მოქმედ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით;

– წარმოადგინოს განმარტებითი ბარათი, რომელიც უნდა მოიცავდეს პოლიგონის დახურვისათვის საჭირო სამუშაოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობისა და მეთოდების დაწვრილებით აღწერას და ასევე ინფორმაციას მათი განხორციელების ნორმატიული ვადების შესახებ. აქვე მითითებული უნდა იყოს გამოსაყენებელი სამშენებლო მასალების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

### 2.1. საძიებო სამუშაოები

საძიებო სამუშაოები მოიცავს პოლიგონის ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიურ აგეგმვას, საინჟინრო-გეოლოგიურ, საჭიროების შემთხვევაში ჰიდროლოგიურ და ჰიდრომეტეოროლოგიურ კვლევას.

ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა მინიმუმ უნდა მოიცავდეს პოლიგონის რეგისტრირებულ წითელ ხაზებში მოქცეულ ტერიტორიას. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, პროექტანტი ვალდებულია დამატებით აგეგმოს ის ფართობებიც, რომლებზეც პროექტირების პროცესში, შეიძლება აუცილებელი გახდეს რაიმე ინფრასტრუქტურული ან ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების განხორციელება (როგორცაა: დროებითი მისასვლელი გზები, სანიაღვრე წყალამრინიარხები, ნაპირდამცავი ნაგებობები, დროებითი სასაწყობე მოედნები, არსებული ნარჩენების გროვების გავრცელება პოლიგონის საზღვრებს გარეთ და სხვ.). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო ტოპო-გეოდეზიური აგეგმვის არეალის საზღვრებს ადგენს შემსრულებელი, ობიექტის ადგილზე დათვალიერების და შესწავლის შემდეგ.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევა უნდა უზრუნველყოფდეს პოლიგონის ტერიტორიის ნათელი გეოლოგიური სურათის დადგენას. გეოლოგიური კვლევის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს პოლიგონის ტერიტორიაზე გავრცელებული გეოლოგიური შრეები და მათი სიმძლავრეები (სისქეები). უნდა განისაზღვროს თითოეული შრის ამგები გრუნტის დამახასიათებელი პარამეტრები და განხორციელდეს გრუნტის იდენტიფიკაცია. უნდა განისაზღვროს ასევე პოლიგონის ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტის წყლების დონე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გეოლოგიური კვლევა უნდა ჩატარდეს არანაკლებ 5.0 მ სიღრმემდე მიწის ზედაპირიდან, არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების ფენის გაუთვალისწინებლად.

ჰიდროლოგიური კვლევა უნდა განხორციელდეს მიმდებარე მდინარეებზე არსებული დაკვირვებების სრული მონაცემების საფუძველზე. მოძიებულ უნდა იქნეს ცნობები მდინარის სეზონური რეჟიმების, წყლის დონის ცვალებადობის და მაქსიმალური წყალმოვარდნის შესაფასებლად, დადგინდეს ფსკერის წარეცხვის სიღრმე. ეს მონაცემები საჭიროა ნაპირსამაგრი ნაგებობის დასაპროექტებლად.

ჰიდროგეოლოგიური კვლევა ასევე უნდა განხორციელდეს იმ პოლიგონების დახურვის სამუშაოების დაპროექტებისას, რომელთა ადგილმდებარეობის ჰიდროგეოლოგიური ხასიათი მოითხოვს ასეთი კვლევების ჩატარებას.

ჰირდომეტეოროლოგიური კვლევა განხორციელდეს თითოეული ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით, ნალექების მაქსიმალური ოდენობის შესაბამისად, წყალარინების სისტემის დაპროექტებისათვის.

### 3.2 პოლიგონის დახურვის პროექტი

არსებული პოლიგონის დახურვისათვის საჭირო ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაცია (პოლიგონის დახურვის პროექტი) მინიმუმ უნდა მოიცავს:

- \_ პოლიგონის ტერიტორიის ვერტიკალურ გეგმარებას;
- \_ პოლიგონის საიზოლაციო სამუშაოების დაგეგმარებას;
- \_ წყალამრინიარხების დაგეგმარებას, მეზობელი მიწის ნაკვეთებიდან ნიაღვრის (ავდრის) წყლის შემოდინების აღსაკვეთად;
- \_ ნაპირსამაგრი ღონისძიებების დაგეგმარებას.
- \_ მყარი ნარჩენების გადამზიდი სადგურის დაგეგმარებას;

პოლიგონის ვერტიკალური გეგმარება გულისხმობს მისი არსებული ზედაპირის სათანადო წესით მოსწორებას და საბოლოო ფორმირებას საიზოლაციოდ. ზედაპირის ფორმის გეგმარებისათვის დამპროექტებელმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ა) არსებულ ლანდშაფტთან ბუნებრივი შეხამება;
- ბ) ნალექების და/ან ჩამონადენი წყლის ეფექტური გადაყვანა;
- გ) შესასრულებელი მიწის სამუშაოების მოცულობის ოპტიმიზაცია.

